



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის
დავით დარჩიას მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

სარჩევი

შესავალი	3
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა.....	4
საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები	
/ მიღებული გადაწყვეტილებები	4
საკრებულოს სამუშაო გეგმა	5
რეგლამენტი.....	5
მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ორგანიზება	
და მისი იდენტურობის განსაზღვრა	5
საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ორგანიზაციული სფერო	6
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	8
ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება	10
ქონების განკარგვა და მართვა.....	11
მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება და	
შესავამის სფეროში ნორმების, წესების განსაზღვრა.....	11
მუნიციპალური ნარცენების მართვა	12
სატრანსპორტო პოლიტიკა	12
გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრების და ბაზარობების რეგულირება	13
საკრებულოს უფლებამოსილება განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში.....	13
სკოლამდელი განათლება	13
ზოგადი განათლების ხელშეწყობა	14
კულტურა/სპორტი	15
ჯანდაცვა და სოციალური პროგრამები	16
ღია მმართველობა	17
საკრებულოს მიღწევები	20
საერთაშორისო თანამშრომლობა	20
ტრენინგები/ სემინარები	21
სამომავლო გეგმები	21
დასასრული	22

❖ შესავალი

დეცენტრალიზაცია და სრულფასოვანი ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა, საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, თითოეული მოქალაქისა თუ ადგილობრივი ჯგუფების თავისუფალი განვითარება, სრულფასოვანი საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება ჩვენი მთავრობისა და თვითმმართველობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მიღებული გადაწყვეტილებები უნდა პასუხობდნენ ადგილზე ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს, საზოგადოებრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოქალაქთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისას. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ეკისრება წარმომადგენლობით ორგანოს - საკრებულოს.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, არჩეული ვარ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, წარდგენილი ვიყავი მ.პ.გ. „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს პროპორციული სიის პირველ ნომრად. მ.პ.გ. „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ 2017 წლის არჩევნების შედეგად საკრებულოში მყარი უმრავლესობით არის წარმოდგენილი, დღეის მდგომარეობით 35 საკრებულოს წევრი. ეს გახლავთ იმ დიდი ნდობის შედეგი, რომელიც ამომრჩევლებმა ჩვენს გუნდს გამოუცხადეს.

ნდობის მოპოვება დიდი ძალისხმევის შედეგია. თანმიმდევრულმა პოლიტიკამ, განხორციელებულმა პროექტებმა, ადგილობრივ ინტერესებს მორგებულმა პროგრამებმა და ინიციატივებმა შექმნა მყარი საფუძველი რომ 2017 წელსაც „ქართული ოცნების“ გუნდს გაეგრძელებინა საკრებულოში 2014 წელს დაწყებული საქმიანობა.

ჩვენი უფლებამოსილება ვრცელდება 29 ადმინისტრაციულ ერთეულში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 46 წევრით ერთ-ერთი ყველაზე დიდი ორგანოა ქვეყნის მასშტაბით.

თვითმმართველი ერთეულის ძირითად პოლიტიკური ორგანოს ხელმძღვანელობა, განაპირობებს ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პოლიტიკური თანამდებობის პირის სტატუსს. ხოლო ნდობის მაღალი მანდატი განპირობებულია მოსახლეობისა და შემდეგ უკვე საკრებულოს წევრების მხრიდან გამოცხადებული ნდობით და დაკისრებული პასუხიმგებლობით. სწორედ, ამ ნდობის გამართლებაა საქმიანობის მთავარი მიზანიც.

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა განსაზღვრულია კანონმდებლობით. უფლებამოსილებები დაკავშირებულია როგორც საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ ხელმძღვანელობასა და საკრებულოს საქმიანობის კოორდინაციასთან, ასევე მოიცავს ადმინისტრაციული ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებას. წარმართავ საკრებულოს, ბიუროს სხდომებს, განვიხილავ საკითხებს, ვიღებ გადაწყვეტილებებს, ვხელმძღვანელობ აპარატის ორგანიზაციულ საქმიანობას, ვახორციელებ საკრებულოს წარმომადგენლობით ფუნქციებს.

საანგარიშო პერიოდში 2017 წლის 11 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩემი თავმჯდომარეობით გაიმართა საკრებულოს 25 სხდომა, აქედან 14 მორიგი და 11 რიგგარეშე, ხოლო ბიუროს 27 სხდომა. მიღებულ იქნა:

- ✓ *83 ნორმატიული აქტი -დადგენილება;*
- ✓ *დამტკიცდა 146 განკარგულება;*
- ✓ *გამოიცა ჩემი როგორც საკრებულოს თავმჯდომარის 225 ბრძანება.*

ამავდროულად, გახლავართ ფრაქცია ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი და ვმონაწილეობდი ფრაქციის 24 სხდომაში.

❖ საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები/ მიღებული გადაწყვეტილებები

საკრებულოს თითოეულ წევრს გვაქვს უაღრესად დიდი საპასუხისმგებლო უფლებამოსილება - შევიმუშავოთ ესა თუ ის სამართლებრივი აქტის პროექტი ან/და ვიმსჯელოთ დადგენილების, განკარგულების პროექტებზე და ჩვენვე გვაქვს ვალდებულება განვახორციელოთ კონტროლი და ზედამხედველობა მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებაზე. დამეთანხმებით რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროცესი, რომელიც საბოლოოდ გავლენას მუნიციპალიტეტის ხვალისდელ დღეზე ახდენს. შესაბამისად, ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვხელმძღვანელობთ მოსახლეობის ინტერესების დაცვისა და სწორი პოლიტიკის განსაზღვრის პრინციპით. საკრებულო, როგორც კოლექტიური ორგანო დისკუსიით, საკრებულოს კომისიებსა და ფარქციებში საკითხებზე მსჯელობით, მოქალაქეთა ინფორმირებითა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახდენს საკითხების განხილვა-დამტკიცებას.

თითოეულ სამართლებრივ აქტზე თქვენი ყურადღების შექერება დიდ დროსთან არის დაკავშირებული, ყურადღებას გავამახვილებ იმ რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დადგენილებისა და განკარგულების სახით მიიღო საკრებულომ.

✚ საკრებულოს სამუშაო გეგმა

უპირველესად დავიწყეთ საკრებულოს საქმიანობის დაგეგმვა. საკრებულოს სამუშაო გეგმა გამომდინარეობს თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტიდან და ემსახურება ამ დოკუმენტით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას. აგრეთვე საქმიანობის განხორციელების პროცესში, ჩვენ კომისიების, ფრაქციების, მერის წინადადებების გათვალისწინებით ყოველთვიურად ვახდენთ მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენას, სადაც ხდება განსაზღვრული საკითხების დეტალიზება, დაკონკრეტება.

✚ რეგლამენტი

საკრებულოს რეგლამენტი წარმოადგენს იმ ძირითად დადგენილებას, რომლითაც თითოეული წევრი ვხელმძღვანელობთ და ჩვენს უფლებამოსილებას ვახორციელებთ. ოზურგეთის IV მოწვევის საკრებულოს პირველივე სხდომაზე მოხდა რეგლამენტის დამტკიცება, ხოლო შემდგომ პერიოდში რეგლამენტის ცალკეული მუხლების დაზუსტება. საკრებულოს რეგლამენტში თავმოყრილია ყველა ის საკვანძო მიმართულება, რომლითაც წარმომადგენლობით ორგანო ხელმძღვანელობს. ის არის ცოცხალი დოკუმენტი და მასში ცვლილებები აისახება იმ გამოწვევების შესაბამისად, რომელიც საკრებულოს წინაშე დროთა განმავლობაში ჩნდება.

✚ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ორგანიზება და მისი იდენტურობის განსაზღვრა:

- ✓ ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა - აღნიშნულის მიზანია მართვის ოპტიმიზაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსახლეობასთან მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა დადგენილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 29 ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის შესახებ, მათ შორის 1 ქალაქი, 4 დაბა და 68 სოფელი;
- ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის სიმბოლოების - გერბის და დროშის დადგენა - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველის თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანების შედეგად დღის წესრიგში დადგა საკითხი მუნიციპალიტეტის ახალი სიმბოლოების დადგენის თაობაზე. ამ მიზნით მივიღეთ გადაწყვეტილება და დავამტკიცეთ გერბისა და დროშის შემუშავების მიზნით კონკურსის ჩატარების წესი და ასევე, შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი. საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის საბჭოსთან კოორდინაციით, სამუშაო ჯგუფი აგრძელებს საქმიანობას მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დადგენის მიზნით;

✓ **თვითმმართველი ერთეულის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მათი მინიჭების წესის დადგენა** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღების და მინიჭების წესი - ამ წესის დაზუსტებასა და დამტკიცებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საკრებულომ, შენიშვნები გათვალისწინებულია დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში;

✓ **გეოგრაფიული ობიექტების სახელდება** - საკრებულო ამ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში. საანგარიშო პერიოდში ამ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე მივიღეთ 10 განკარგულება ქუჩებისა თუ გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე. მათ შორისაა სოფელ ლიხაურში: ექვთიმე თაყაიშვილის, დაბა ლაითურში: ჯემალ დუმბაძის, სოფ. ჯუმათში: მონასტრის, სოფ. ნატანებში: შეკვეთილის გზატკეცილის, სოფ. შემოქმედში შერმანდინ ჭკუასელის და სხვა . ქუჩებისთვის მოხდა სახელის მინიჭება. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა, მათთან კონსულტაციებითა და ინტერესების გათვალისწინების შედეგად დამტკიცდა ობიექტების სახელდების შესახებ განკარგულებები.

✚ საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ორგანიზაციული სფერო:

ახლადარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულომ შექმნა 5 მუდმივმოქმედი კომისია: 1. სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულსაკითხთა და ეთიკის კომისია;

2.საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;

3.სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია;

4.აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების

საკითხების კომისია;

5.განათლების, კულტურის, სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,

ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

პირველივე სხდომაზე მოხდა შესაბამისად კომისიის თავმჯდომარეების არჩევა. განისაზღვრა თითოეული კომისიის პერსონალური შემადგენლობა,საკრებულოს ყველა წევრი მონაწილეობს მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ორი

კომისიის მუშაობაში. საკრებულომ, კომისიის თავმჯდომარეების წარდგინებით, დაამტკიცა თითოეული მუდმივმოქმედი კომისიის დებულება.

✓ **საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების, საზოგადოებრივი დარბაზის, საბჭოების შექმნა:**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს 2018 წლის მუშაობის პერიოდში შეიქმნა ორი სამუშაო ჯგუფი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-

ის მიერ პეტციის სახით ინიცირებული „მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის“

შემუშავებისა და შესწავლის მიზნით საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფი. შეიქმნა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის წევრიც გახლავართ. საკრებულოსთან ფუნქციონირებს საზოგადოებრივი დარბაზი, რომელიც ადგილობრივი არასამთავრობო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. საკრებულომ შეიმუშავა საზოგადოებრივი დარბაზის დებულება. საკრებულო მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა საზოგადოებრივ დარბაზთან ერთად ახდენს.

✓ **საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცება და საშტატო ნუსხის დამტკიცება -**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შემუშავებული იქნა საკრებულოს აპარატის დებულება და საშტატო ნუსხა. აპარატის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრა 21 საშტატო ერთეულით და 3 შტატგარეშე მოსამსახურის ოდენობით. აპარატის საშტატო ნუსხის განსაზღვრა მოხდა საკრებულოს წინაშე მდგარი ამოცანების და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ქალაქ ოზურგეთის და თემთა მუნიციპალიტეტების გაერთიანების შედეგად, ახალი რეალობის წინაშე დადგა საკრებულოც, რომელმაც არა მარტო ახალი მოწვევით დაიწყო

უფლებამოსილების განხორციელება, არამედ საკრებულოს აპარატში ახალი სტრუქტურული ერთეულებში მობილობის წესით იქნა შერჩეული პროფესიული საჯარო მოხელეები.

ნიშანდობლივია მობილობის პროცესი, რომელიც საჯარო სამსახურის კანონში ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად განხორციელდა და რომლის პრაქტიკული

მაგალითები ადრე არ არსებობდა. სასიხარულოა, რომ საკრებულომ შეძლო და მობილობის პროცესი კანონის სრული დაცვით განახორციელა. ეს გახლდათ ერთ-ერთი პირველი გამოწვევა ახალი მოწვევის საკრებულისთვის, რომელიც კანონით დადგენილი ყველა ნორმის დაცვით განხორციელა საკრებულოში.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი:

ადგილობრივი ბიუჯეტი თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომლის სწორად დაგეგმვასა და თანმიმდევრულ აღსრულებაზე დამოკიდებული მუნიციპალიტეტის ეკონომიკური გაძლიერება, განვითარება. საანგარიშო პერიოდში მეოთხე მოწვევის საკრებულომ დაამტკიცა 2018 წლის და 2019 წლის ბიუჯეტი.

2018 წელს მთავარი საფინანსო დოკუმენტი განისაზღვრა **18 479.0 ათასი ლარით**, რომელიც ოზურგეთის თემთა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტების დამტკიცებული ბიუჯეტების ჯამს აღემატებოდა. 2019 წელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა **24 მილიონ 186,8 ლარით** დაიწყო. ბიუჯეტის ზრდა განაპირობა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ტრანსფერის განაწილების ახალი პრინციპით განსაზღვრის თაობაზე, აგრეთვე გასულ პერიოდში განხორციელებულმა სამუშაოებმა დღეს, მუნიციპალიტეტს მისცა გაზრდილი საკუთარი შემოსავალი.

საანგარიშო პერიოდში 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 6 ცვლილება. კანონმდებლობის შესაბამისად აღმასრულებელი ორგანო საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების პერიოდულ და წლიურ ანგარიშებს. საკრებულოს ეს აძლევს საშუალებას მუდმივად იყოს საქმის კურსში და კონტროლი გაუწიოს ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას. საკრებულო აფასებს რამდენად ეფექტურად და რაციონალურად იქნა ხარჯები გაწეული, მიღწეულ იქნა თუ არა პრიორიტეტების დადგენილი მიზნები. საკრებულომ საანგარიშო პერიოდში 4 ჯერ მოსიმიწა და შეაფასა ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ადგილობრივი ბიუჯეტი პრიორიტეტების მიხედვით განაწილდა:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლების ხელშეწყობა;
- კულტურა;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა ის ძირითადი პრიორიტეტია, რომელშიც ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი იხარჯება. ოზურგეთისთვის მნიშვნელოვანია საგაზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, სანიაღვრე არხებისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია, საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა, დასვენების ადგილების კეთილმოწყობა და სხვა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა გასულ წელს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წელს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე, საკრებულომ განკარგულება მიიღო. განკარგულების მიხედვით, 2019-2020 წლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგიონალური განვითარების პროექტების ფონდის დაფინანსებით შემდეგი პროექტები განხორციელდება: ► ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების - შემოქმედელის (-2267 გრძ.მ.); საფო მგელაძის-(150 გრძ.მ.) ლერმონტოვის-(305 გრძ.მ). რეაბილიტაცია;

► ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით გზის რეაბილიტაცია (5960 გრძ.მ);

► ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ბაილეთის ცენტრის გავლით გზის რეაბილიტაცია (5667 გრძ.მ);

► ოზურგეთი-ნატანები-ურეკის სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან სოფელ შრომის (ეკალდიდი)-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (6150 გრძ.მ).;

► სოფ.გალმა დვაბზუ-ბახვის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (2300 გრძ.მ);

► ოზურგეთი-ნატანები-ურეკის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან, სოფ ხვარბეთის გავლით კონჭკათის (კატისციხე) საზღვრამდე დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები -4868 გრძ.მ;

► სოფელ ცხემლისიხიდი-სოფ.ვაკიჯვრის გზიდან ბაღდადის ეკლესიამდე დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1662 გრძ.მ;

► სოფელ დვაბზუს ცენტრიდან სოფელ ბოხვაური(ჭალას) სასაფლაომდე სარეაბილიტაციო სამუშაოები 1387 გრძ.მ.

დაბა ლაითურში აქტიურად მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურგეთის მაჟორიტარის არჩილ თალაკვაძის მონდომებითა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მალე ბახვის, ვაკიჯვრის და ცხემლისხიდისთვის წყალმომარაგების ახალი სისტემა აშენდება. 2019 წლის მაისი-ივნისში დაიწება ანასეულში წყალსადენის სისტემის მშენებლობაც. კიდევ ერთი წინა საარჩევნო დაპირება სრულდება, დაბა ნარუჯისა და ლაითურის დამაკვშირებელი ცენტრალური გზის რეაბილიტაცია იწყება. საქართველოს მთავრობის მიერ ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ოზურგეთში მასშტაბური პროექტების განხორციელებაა დაგეგმილი, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების გზაზე ძალზედ მნიშვნელოვანია.

ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;

ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღებისა და გაუქმების უფლება აქვს საკრებულოს. შესაბამისად საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა შემდეგი ნორმატიული აქტები:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ.

აღნიშნული საკითხის განხილვისას საკრებულომ რეკომენდაციით მიმართა მერიას, რომელიც საბოლოოდ გათვალისწინებული იქნა. კერძოდ, ერთ სულ მოსახლეზე მოსაკრებლის ოდენობა ნაცვლად, 0,85 თეთრისა განისაზღვრა 0,40 თეთრი. ერთ სულ მოსახლეზე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის 0-დან 150 001- მდე ქულით, ნაცვლად 0,50 თეთრისა განისაზღვროს 0,20 თეთრი. რაც შეეხება დაწესებულებებისთვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისთვის და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის საკრებულოს კომისიის რეკომენდაციით მოსაკრებლის ოდენობა შენარჩუნდა არსებული ტარიფის ფარგლებში.

- ასევე დამტკიცდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ დადგენილება და მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლი.

ქონების განკარგვა და მართვა:

ქონების მართვისა და წესების დადგენის შესახებ უფლებამოსილება საკრებულოს განეკუთვნება. საკრებულომ დაადგინა:

- საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, დადგინდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი;
- აგრეთვე მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზაციო საფასური და ქირის საწყისი საფასური;
- საკრებულომ მხარი დაუჭირა მერიის ინიციატივას თვითმმართველი ერთეულის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის თაობაზე დამტკიცდა 7 განკარგულება. თითოეული განკარგულების დამტკიცებას წინ უსწრებდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესი და ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა წინადადებით, შენიშვნით მიემართა საკრებულოსთვის ამა თუ იმ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების პროცესში.

მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმების, წესების განსაზღვრა:

ჯერ კიდევ 2017 წელს თემთა მუნიციპალიტეტმა დაიწყო ზრუნვა კურორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე, რისთვისაც ფინანსები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს გეგმა, რომელიც კურორტ გომისმთის გეგმაზომერ განვითარებას შეუწყობს ხელს. საზღვაო და სამთო კურორტების არსებობა ჩვენს მუნიციპალიტეტში არის ეკონომიკური წინსვლის და უკეთესი ხვალისდელი დღის პერსპექტივა, რომელსაც სწორი და რაციონალური გამოყენება სჭირდება. სწორედ ამ მიზნით, საკრებულო მაქსიმალურად გონივრულ ვადებში ცდილობს, კანონით დადგენილი ყველა იმ პროცედურის გავლას, რომელიც გენერალურ გეგმის დამტკიცებას ახლავს თან. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და იმისათვის, რომ გომისმთას ჰქონოდა დასახლების სტატუსი, ის მოექცა შემოქმედის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, რის შემდეგაც მოხდება გენერალური გეგმის დატკიცება და დაიწყება სამთო კურორტის გეგმის შესაბამისად განვითარების პროცესი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა თვითმმართველობის განვითარების ფუნდამენტური საკითხია. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის მომზადების მიზნით, მერიამ მიიღო გადაწყვეტილება და

საკრებულოს თანხმობით დაფუნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრი“. "ცენტრის ძირითად მიზნებს, ფუნქციასა და საქმიანობის საგანს წარმოადგენს: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების განაშენიანების გენერალური გეგმის მომზადება; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის მომზადება; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადება; ქალაქის გეოინფორმაციული მოდელის მომზადება .

მუნიციპალური ნარჩენების მართვა

საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018-2022 წლებში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“.

საქართველოში მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გამოწვევაა, რადგან დღეს მართვის არსებული სისტემა მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებს. ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასთან; გარემოს დაცვასთან; სექტორის შემოსავლიონობის ზრდასთან; საკითხის აქტუალობისა და პრიორიტეტულობის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ ნარჩენების მართვა ქვეყნის მდგრადი განვითარების საკითხს ეხება, განსაზღვრავს ხუთწლიანი პროგრამის განხორციელების ძირითად მიმართულებებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება მუნიციპალური ნარჩენების მართვის ვალდებულებების შესრულება და ხარჯთეფექტიანი სისტემის შექმნა. გეგმის დამტკიცება წინ ამ სფეროში ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. საკრებულო თავს ადევნებს გეგმით გაწერილი ღონისძიებების შესრულების პროცესს. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე კონკრეტული აქტივობები არ არის განხორციელებული.

სატრანსპორტო პოლიტიკა

2018 წელი გამორჩეული იყო ისეთი რეზონანსული საკითხებზე მსჯელობით, როგორცაა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა, დგომის და გაჩერების წესების რეგულირება.

მერიის მიერ ინიცირებული დადგენილების პროექტი სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ხანგრძლივი მსჯელობის საგანი გახდა. საკრებულომ დადგენილების პროექტი საზოგადოებრივ დარბაზთან ერთად განიხილა. გაიცა კონკრეტული რეკომენდაციებიც, კერძოდ, ელექტრონული მექანიზმების გამოყენებით საფასურის გადახდის სისტემის უზრუნველყოფაზე.

ყველა ერთხმად თანხმდება, რომ დადგენილების მიღების მთავარი მიზანია მოწესრიგდეს და გარკვეულწილად განიტვირთოს ქალაქის ცენტრული ნაწილი,

შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ქვეითად მოსიარულეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის და საბოლოოდ მოწესრიგდეს ვტომანქანების ქაოსური გადაადგილება. პარკინგის ადგილების კონტროლს უზრუნველყოფის მიზნით, საკრებულოს თანხმობით, მერიამ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი“ დააფუძნა. ა(ა)იპის ფუნქციონირებისთვის ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფა არ მომხდარა.

გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება

საკრებულომ მერიის მიერ ინიცირებული პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ ხანგრძლივი მსჯელობის საგანი გახადა. გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ ნორმატიული აქტის მიღები მიზანი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვაა; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ფეხით მოსიარულეთათვის გადაადგილების შეზღუდვის თავიდან აცილება; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების დაცვაა. ნორმატიულ აქტის პროექტში გაწერილია რა არის მიჩნეული გარე ვაჭრობად, ასევე არნიშნულია რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა განსაზღვროს გარე ვაჭრობის კონკრეტული ადგილები, ამ ადგილებით სარგებლობის ფორმები და ამისათვის განახორციელოს საჭირო ღონისძიებები. სარგებულომ მერიას პროექტთან დაკავშირებით კონკრეტული რეკომენდაციებით მიმართა, მათ შორის მნიშვნელოვნად მიიჩნია წარმოადგინოს მერიამ დროში გაწერილი ღონისძიებათა გეგმა და მოახდინოს დაინტერესებული პირების სრული ინფორმირება.

საკრებულოს უფლებამოსილება განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში

✓ სკოლამდელი განათლება

სკოლამდელი განათლება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მტავარი პრიორიტეტია. საკრებულომ ამ სფეროში დაგეგმილ რეფორმის ფარგლებში რამდენიმე ნორმატიული აქტი მიიღო:

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ ;
- სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.

დადგენილებების მიღებამდე შესაბამის დარგობრივ კომისიის ჩართულობით განხილული იქნა თითოეული სამართლებრივი ქტის პროექტი, გამოითქვა შენიშვნები და მერიას მიეწოდა კონკრეტული რეკომენდაციები.

სკოლამდელი განათლებაში არსებული გამოწვევები საკრებულოს თითოეული წევრისთვის პრიორიტეტულია. გასულ წელს ჩვენ მოვახერხეთ ამ სფეროში დასაქმებულ პირთათვის ხელფასების მცირედი ზრდა. 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში კომისიის წარდგინებითა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით დავაყენეთ წინადადება, რომ წელსაც მომხადრიყო ხელფასების ზრდა, თუმცა ეს ვერ განხორციელდა. თითოეულ ჩვენგანს ძალიან კარგად გვესმის, რომ საბავშვო ბაღის პედაგოგის, იქ დასაქმებული თითოეული პირის შრომა მართლაც ფასდაუდებელია. საკრებულო მუშაობს და დღესაც, ერთ-ერთ მთავრ მიზნად ასახელებს სწორედ მათი ხელფასების ზრდის აუცილებლობას, რომლის გათვალისწინება აუცილებლად უნდა მოხდეს.

აქვე სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესებულია ბავშვთა კვება, ეტაპობრივად ხდება ინვენტარის, სათამაშოების განახლება. ჩვენს მუნიციპალიტეტს ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით კიდევ ერთი თანამედროვე ტანდარტების შესაბამისი 130 ბავშვზე გათვლილი სბავშვო ბაღი შეემატა, ამჯერად დაბა ურეკში. საკრებულოს ერთ-ერთი მთავარი ინიციატივაა ქალაქ ოზურგეთში (ე. წ. ზვანის უბანში) მოხდეს კიდევ ერთი ახალი ბაღის მშენებლობა. მოგეხსენებათ საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცხადებულია თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციური დატვირთვა, არა მარტო სააზღმრდელი არამედ საგანმანათლებლო აქტივობებით. ამ სფეროში სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება პოლიტიკა და განსახორციელებელი რეფორმაც ამის დამადასტურებელია.

✓ **ზოგადი განათლების ხელშეწყობა**

მას შემდეგ, რაც სკოლებში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნა, დღის წესრიგში დადგა სწორედ მსგვსი ტიპის პრობლემების მოგვარების გზებზე მუშაობა თვითმმართველობის მხრიდან. სწორედ ამ მიზნით, საკრებულომ სკოლებს თანამშრომლობა შესთავაზა, რომელიც პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრას და კონკრეტული სამოქმედო გეგმაში ასახვას გულისხმობს. არასმთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ თანამშრომლობით და საჯარო სკოლების წარმომადგენლების უშალო ჩართულობით შემუშავდა დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომელშიც სკოლების საჭიროებებია თავმოყრილი.

სასიხარულოა, რომ გასულ წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ სოფელ ჭანიეთში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით, 90 ბავშვზე გათვლილი ახალი სკოლა გაიხსნა. პროექტის ღირებულებამ 1 600 000 ლარს შეადგენა. დადგემილია პირველი საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა რამდენიმე საჯარო სკოლაში, წელს დადგემილია კიდევ უფრო ფართო მასშტაბის ღონისძიებები.

კვლავ წარმატებით ხორციელდება საკრებულოს ინიციატივა, ამჯერადაც დაჯილოდოვდა ერთიანი ეროვნული გაოცდების შედეგად 100 %-ის მქონე აბიტურიენტები 3000 ლარით და მათი აღმზრდელი სკოლებს გადაეცა 1000 ლარი. მუნიციპალიტეტი ამ პროექტს სამომავლოდაც განახორციელებს.

✓ კულტურა/ სპორტი

გასული წელი გამორჩეული იყო ისეთი კულტურული ობიექტების მშენებლობებითა და მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოებით, როგორცაა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეაბილიტაცია. პროექტი, რომლის ღირებულებამ მილიონს გადააჭარბა, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა და ის მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მარტო ოზურგეთში, არამედ რეგიონში ფოლკორული ტრადიციების კიდევ უფრო გარმავებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

მოგეხსენებათ სოფელ მაკვანეთში აშენდა არტემ ერქომაიშვილის სახელობის სიმღერა-გალობის მუზეუმი, სოფელ შემოქემდში კი ვარლამ სიმონიშვილის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი. აქვე მივმართ აღმასრულებელ ორგანოს, დროულად მოხდეს ვარლამ სიმონიშვილის მუზეუმის გახსნა და მისი ფუნქციური დატვირთვა, რათა მუზეუმმა დაიწყოს სრულფასოვანი ფუნქციონირება. სასიხარულოა, რომ ამ მუზეუმების მშენებლობით ოზურგეთში გაჩნდა ახალი, მიმზიდველი კერები ვიზიტორებისთვის.

მოგეხსენებათ, ფონდი „ქართუ“-ს დაფინანსებით სულ მალე დასრულდება ოზურგეთის თეატრის სრული რეაბილიტაცია.

საკრებულომ თავის უფლებამოსილების ფარგლებში მერიის მიერ ინიცირებული განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხთა სამსახურის დებულების დაამტკიცა.

ასევე განკარგულება მიიღო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიმართ რეორგანიზაციის განხორციელების თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. ჩამოყალიბდა ზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლეა ხალგაზრდობის და სარეკრიაციო დაწესებულებათა გაერთიანება; სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება“;

ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ყველა ის სპორტული აქტივობები, რომლებიც მუნიციპალიტეტში ხორციელდება. სასიხარულოა, რომ გვყვას მედალოსნები ძალოსან სპორტულ მიმდინარეობაში, ვითარდება და წარმატებებს აღწევენ რაგბშიც. თუმცა ამ მიმართულებით საჭიროა კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ყველასთვის საყურადრებოა ის პრობლემები, რომლებიც კლუბ მერცხალთან დაკავშირებით მთელი წლის განმავლობაში არსებობდა. საკრებულომ მხარი დაუჭირა მერიის ინიციატივას, ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“-ს წესდებაში ცვლილებების განხორციელებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“-ს დაფუძნებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთი შეხვედრა გაიმართა როგორც დაინტერესებული პირების, ისე საზოგადოების სხვადასხვა ფენის ჩართულობით. მაშინ როცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია არც თუ ისე მცირე თანხა, სახეზე გვექონდა რთულია ვითარება. ჩვენ არაერთხელ მიმვამრთეთ მერიას რეკომენდაციით პრობლემების დროულად შესწავლის მიზნით ეზრუნათ მათ აღმოფხვრაზე. გარკვეული ღონისძიებები ამ კუთხით მიმდინარეობს.

ჯანდაცვა და სოციალური პროგრამები

თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა 19 სახის სოციალური პროგრამა.

მათ შორისაა: ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამა, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა და სხვა.

საკრებულომ მოქალაქეთა მეტი ინფორმირებულობის მიზნით დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი, რომელშიც დეტალურადაა ასახული ყველა პროგრამა და ის აწესრიგებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

❖ ღია მმართველობა

საკრებულო საქმიანობის გამჭვირვალობას, ადგილობრივი მოსახლეობის აზრისადმი მის კონტროლქვემდებარებას, გადაწყვეტილების შემუშავების, მიღების და აღსრულებაზე კონტროლის პროცესში მოქალაქეთა მიერ საჯარო ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობას, საჯაროობის პრონციპის დაცვით უზრუნველყოფს. აღნიშნული მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს, მათ შორის: ინფორმაციის საჯაროობას, თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას და ანაგარიშვალდებულებას. გასულ წლებში საკრებულოს სტრატეგიამ, რომელიც უპირველესად თვითმმართველობაში მოსახლეობის აქტიურ ჩართვას ისახავდა საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ინიციატივები, რაც ინოვაციური მექანიზმების შექმნასა და ელექტრონული მმართველობის პრინციპების დანერგვას გულისხმობს.

🇯🇵 OGP -ღია მმართველობა პარტნიორობა

მოგეხსნებათ, წინა მოწვევის საკრებულომ საფუძველი ჩაუყარა მყარ ფუნდამენტს საკრებულოში ღია მმართველობის დანერგვის მიმართულებით. პარტნიორ არასმთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელდა არაერთი ინოვაციური პროექტი, რომელმაც შექმნა პრეცედენტი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობა გახდა გასათვალისწინებელი მაგალითი სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც. ღია მმართველობა პარტნიორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები საკრებულომ წარმატებით შეასრულა და უკვე 2018-2019 წლებისთვის ახალი ვალდებულებები განისაზღვრა.

როგორც OGP-ში ჩართული მუნიციპალიტეტი, დავესწარით ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მე-5 გლობალური სამიტს, სადაც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრი 75 ქვეყნიდან 2000 სტუმარი ღებულობდა მონაწილეობას.

🇯🇵 ელექტრონული პეტიცია

ახალი ვალდებულებების შესრულება საკრებულომ წარმატებით დაიწყო. ჩვენ დავნერგეთ ელექტრონული პეტიციის მექანიზმი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა წარმატებით იყენებს.

ელექტრონული პეტცია - პეტიციის პირველი შედეგია, რომლის ინიციატორი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი გახლდათ. პროგრესის სახლის ადა სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლობით ვებგვერდზე www.oz.gov.ge განთავსდა ელექტრონული პეტიციის პლატფორმა. ოზურგეთში რეგისტრირებული ამომრჩევლის მიეცა შესაძლებლობა თვითმმართველობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტა ამ მექანიზმის გამოყენებით დაეყენებინათ საკრებულოს წინაშე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ელექტრონული პეტციის გამოყენების გააქტიურების მიზნით, ელექტრონული პეტიციის წარდგენის შემთხვევაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის 1% -0,5% -მდე შეამცირა. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს 10 დარეგისტრირებული პეტცია.

მათ შორის ორი პეტცია დადებითად არის გადაწყვეტილი, სხვა საკითხების მოგვარების მიზნით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

ყველა ერთხმად ვთანხმდებით, რომ მთავარი ხიბლი ამ მექანიზმისა არის მოქნილობა და ხელმისაწვდომობა. თუმცა ყველაზე მთავარი მიღებული შედეგია, რომელიც კიდევ უფრო ამყარებს მოსახლეობის ნდობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ და ზრდის მოტივაციას მაქსიმალურად აქტიურად ჩაერთონ მათი მუშაობის პროცესი, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში.

თვითმმართველობა განათლებისათვის

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტთან დაწყებული თანამშრომლობა წარმატებით განვითარდა. საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივას „თვითმმართველობა განათლებისათვის“, რომლის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლების კამპანია გამართა, არასამთავრობო ორგანიზაცია პროგრესის სახლთან ერთად. ჩვენ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩავატარეთ შეხვედრები, სადაც ადგილობრივ მოსახლებას ვაცნობდით საკრებულოში დანერგილ ელექტრონულ მექანიზმებს, რომელიც ღია თვითმმართველობას უზრუნველყოფს. ინიციატივის მიზანი თვითმმართველობის მნიშვნელობის პოპულარიზაცია და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის წახალისებაა (ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გამართვა).

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, არასამთავრობო პარტნიორ ორგანიზაციებსა (ოზურგეთის პროგრესის სახლი, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი)

და ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის "ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის" შესასრულებლად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმდა. მხარეები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობენ ეფექტიანი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მეთოდების დანერგვას, OGP- ის ფარგლებში ურთერთპრაქტიკის გაზიარებას, სხვადასხვა სახის პროექტების ერთობლივად განხორციელებას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობასა და გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცებას, თვითმმართველობის მიერ მოსახლეობისთვის გაწეული სერვისების შეფასებისა და მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის გაზომვის სისტემის დანერგვას. აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია.

ანგარიშვალდებულება

საკრებულო თავისი საქმიანობისა და უფლებამოსილების განხორციელებაზე ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულია. ამიტომ უმთავრესად მიგვაჩნია საკრებულოში ანგარიშვალდებულების მექანიზმის არსებობა. ეს მექანიზმია საკრებულოს, საკრებულოს თანამდებობის პირების და წევრების მიერ მოსახლეობის წინაშე სავალდებულო პერიოდულ ანგარიშგება და აგრეთვე, აღმასრულებელი ორგანოსა და თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულებას საკრებულოს წინაშე. დღევანდელი ეს შეხვედრაც ამ მექანიზმის არსებობის ერთ-ერთი დამადასტურებელია. საკრებულოს წევრები წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად ყოველი წლის ბოლოს აჯამებენ გაწეულ მუშაობას თქვენს წინაშე, ჩვენ ასევე ვისმენთ საკრებულოს კომისიების, ფრაქციების ანგარიშებს, მერიის სამსახურების, მხარჯავი დაწესებულებების და მერის ანგარიშს საკრებულოს სხდომებზე.

მოქალაქეთა მიღება/ მოსახლეობასთან შეხვედრები

მიუხედავად იმისა რომ საკრებულომ საკმაოდ საინტერესო და მოქნილი მექანიზმები შესთავაზა ადგილობრივ მოსახლეობას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ჩართულობის მიზნით, კომუნიკაციის მთავარი საშუალება მაინც მოქალაქეებთან უშუალო ურთიერთობაა. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს მოქალაქეთა მიღება, ვისმენთ მათ საჭიროებებს და კომპეტენციის ფარგლებში ვუწევთ დახმარებას. პირადად, მე, ისევე როგორც საკრებულოს თითოეული წევრი მიღების ერთი კონკრეტული დღით არ შემოვიფარგლებით. თუმცა რეგლამენტი არის განსაზღვრული და ბრძანებით დამტკიცებული საკრებულოს ყველა წევრისთვის მიღების და შეხვედრის დღეები. აპარატი ახდენს მოსახლეობის მიერ დაყენებულ პრობლემების სისტემატიზაციას, რომლიც შემდგომი რეგირების მიზნით კომპეტენციის მიხედვით ეგზავნება აღმასრულებელ ორგანოს.

❖ საკრებულოს მიღწევები

თვითმმართველობის ინდექსით ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტს აქვს. გამჭვირვალობის, საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხის კუთხით, 71 მუნიციპალიტეტი შეფასდა და მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მოწინავეა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო კი ანგარიშვალდებულობის, გამჭვირვალობის მხრივ საუკეთესოდ შეფასდა და 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის რეიტინგის მიხედვით საქართველოში პირველია.

ოზურგეთის საკრებულოს კიდევ ერთი აღიარება - ის გახლდათ, რომ საკრებულო 2017 წლის ყველაზე ღია და ანგარიშვალდებულ საჯარო დაწესებულებებს შორის დასახელდა. ჩვენ მიღწეულით არ ვკამყოფილდებით, დაწყებული საქმიანობის ამ მიმართულებით განვითარება საკრებულოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

❖ საერთაშორისო თანამშრომლობა

საანგარიშო პერიოდში ოფიციალური შეხვედრები გაიმართა ალიტუსის რაიონის (ლიეტუვას რესპუბლიკა) დელეგაციის წევრებთან, მათ შორის მერთან ალგირდას ვრუბლიაუსკასკისთან.

მეგობრობა და თანამშრომლობა ორ მუნიციპალიტეტს შორის კვალავაც გრძელდება, დელეგაციის ვიზიტიც ამის დასტური გახლდათ. ჩვენი ლიეტუველი კოლეგების აქტიურად მხარს უჭერენ საქართველოს, ჩვენს რეგიონს და მუნიციპალიტეტს სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. განვითარების ამ გზაზე ოზურგეთისთვის მნიშვნელოვანია მათი გამოცდილების გაზიარება.

შეხვედრა გაიმართა აგრეთვე საქართველოში ნორვეგიის ელჩის მოადგილეს ვეგარდ სტენსრუდთან. ყურადღება გამახვილდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებაზე, რომელიც ორიენტირებული იქნება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე, მოსახლეობისთვის პირობების გაუმჯობესებასა და ადგილობრივ დონეზე დემოკრატიის განვითარების მართულებით ოზურგეთისათვის მნიშვნელოვანია ნორვეგიის თვითმმართველობის გამოცდილების გაზიარება.

❖ ტრენინგები/ სემინარები/ არასმთავრობო სექტორთან თანამშრომლობა

მონაწილეობა მივიღე ოზურგეთის და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის " II ფორუმში., რომელიც საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა გაბუნიას ინიციატივით მოეწყო. ფორუმზე ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა საკითხებზე ვიმსჯელებთ. მათ შორის: სახელმწიფო ფინანსების კონტროლის რეფორმაზე მუნიციპალიტეტში, თვითმმართველობებზე უფლებამოსილების გადაცემის შესახებ, (სასკოლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია) დეცენტრალიზაციასა და სხვა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით , USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (USAID GGI) მხარდაჭერით თბილისში , მუნიციპალიტეტებისთვის "ღია მმართველობის პარტნიორობის" (OGP) საკითხებზე კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ღია მმართველობის პლატფორმის მონაწილე იმ 5 მუნიციპალიტეტს შორის იყო, რომლებმაც გამოცდილება კონფერენციაში მონაწილე სხვა მუნიციპალიტეტებს OGP-ის სამოქმედო გეგმით შესრულებულ ვალდებულებებსა და გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოების შესახებ გააცნო. ინოვაციების გზით, მოქალაქეთა ჩართულობით დემოკრატიული მმართველობის ხელშესაწყობად გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა ოზურგეთის საკრებულოს მაგალითზე წარვადგინე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამას შეუერთდა. NDI-ის ორგანიზებით მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა ტრენინგ სემინარებში. ტრენინგები ფოკუსირებული იყო არჩეულ თანამდებობის პირებსა და მედიას შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის გზებზე. თვითმმართველობის საკითხებზე, დეცენტრალიზაციასა და საკრებულოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე.

❖ სამომავლო გეგმები

საკრებულო აქტიურად აგრძელებს კანონით მინიჭებული უფლებამოსილებსი ფარგლებში ვალდებულებების შესრულებას. ადგილობრივი საჭიროებებს მორგებული გადაწყვეტილებები, მოსახლეობის ინტერესების გატარება, გამჭვირვალე და ეფექტური საქმიანობა ჩემი მთავარი პრიორიტეტია.

ჩვენ არ ვკმაყოფილდებით მიღწეული შედეგით, საკრებულო აგრძელებს ინოვაციური მექანიზმების დანრეგვას საქმიანობაში, ჩვენი ინიციატივით ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია და 5 საზოგადოებრივ ჩართულობის ცენტრს კიდევ რამდენიმე მსგავსი ცენტრი დამატება. ეს იქნება დამატებით შესაძლებლობა სოფლიდან გაუსვლელად ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. დაგეგმილია სხდომათა დარბაზის აღჭურვა ხმოვანი აპარატურით და ასევე დარბაზის ადაპტირება, რათა ყველა მოქალაქეს თავისუფლად შეეძლოს სხდომაზე დასწრება.

ჩვენ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას იმ ახალი ვალდებულებების შესარულებლად, რომლიც ღია მმართველობა პარტნიორობა სამოქმედო გეგმით გაგვესაზღვრა, ეს შეუწყობს ხელს საქმიანობის კიდევ ურო ღია მმართველობას. გვაქვს ინიციატივა და ასურვილი კიდევ უფრო მოქნილი გახდეს ჩვენი ვებგვერდი, დაემატოს მას ფორუმის პანელი, რომლიც უკუკავშირს უზრუნველყოფს ვებგვერდის მომხმარებელთან, აგრეთვე ვებგვერდი გახდეს ადაპტირებული უსინათლოებისთვის.

ყველაზე მთავრი კი ჩვენი ამომრჩველის ნდობის გამართლებაა, საქმიანობის მთავრი მიზანი კი დავაკავშიროთ ერთმანეთთან ხელისუფლება და მოსახლეობა.

❖ დასასრული

თქვენი ყურადღება შევაჩერე იმ საკვანძო საკითხებზე, რომელიც გასულ წლებში ჩემი თავმჯდომარეობით, უშალო მონაწილეობითა და ჩართულობით საკრებულომ შეიმუშავა.

უნდა აღინიშნოს, რომ წლიური ანგარიშის ფორმატიდან გამომდინარე ანგარიშში არ არის აღწერილი ყველა ის აქტივობა თუ ღონისძიება, რომელიც ჩემს მიერ იქნა განხორციელებული საანგარიშო პერიოდში, არის საკითხები რომელთა გადაჭრა გასულ პერიოდში ვერ მოვახრხეთ, თუმცა მუშაობას აქტიურად ვაგრძელებთ.

ნაყოფიერი მუშაობისთვის და მხარდაჭერისთვის მადლობა მინდა ვუთხრა, „ქართული ოცნების“ გუნდს, საკრებულოს თითოეულ წევრს. აპარატის გუნდს გაწეული მუშაობისთვის, საქართველოს მთავრობას, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას, აღმასრულებელ ორგანოს, ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს არჩილ თალაკვაძეს, მის ბიუროს ოზურგეთში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს.

ჩემო ოზურგეთლებო, მადლობა თქვენ გამოცხადებული ნდობისთვის, თქვენი მხარდაჭერით მოპოვებული მანდატი არის უდიდესი პასუხისმგებლობა და მიზანი ვაკეთო საქმე მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
